წერილის ნომერი: **30-302034917**
თარიღი: **14/12/2020**
პინი: **6973**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგეხსენებათ, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილია 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მოიცავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებებისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებს და მისი დაფინანსების ოდენობას, მაგრამ მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ, დეტალურად შემუშავდა როგორც აღნიშნული პროგრამები, ასევე თითოეული პროგრამის ქვეპროგრამისა და ღონისძიების აღწერა, მისი მიზანი და შუალედური/საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად, ვინაიდან სამსახურს სამართლებრივი აქტი ესაჭიროება მისი დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელებისათვის.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ია ჩხაიძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

-------- წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამები:

1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა დანართი N1-ის შესაბამისად.
   ა) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინასების ქვეპროგრამა;
   ბ)განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამა;
   გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა.

2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა დანართი N2-ის შესაბამისად.

   ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამა;

   ბ) კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

   გ) კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამა;

   დ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა;

   ე) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ქვეპროგრამა.

3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა დანართი N3-ის შესაბამისად.

   ა) საჩუქრების და პრიზების შეძენის ქვეპროგრამა;
   ბ) წარმატებული, ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების ქვეპროგრამა;

   გ) მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზების ქვეპროგრამა;

დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების ქვეპროგრამა;
ე) ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა დანართი N4-ის შესაბამისად.

ა) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა;
ბ) შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა.

მუხლი 2. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N2 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე : ზესიკ ტაბიძე

პროგრამის დასახელება	კოდი	**ახალგაზრდობის მხარდაჭერა**			დაფინანსება ათას ლარებში
	05 03				12 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდება მუნიციპალური ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება. განხორციელდება და დაფინანსდება სხვადასხვა მიმართულების ახალგაზრდული პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრული საქმიანობის განვითარებას, ახალგაზრდების გააქტიურებას და მათი ჩართულობის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გაზრდის ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე ისეთი პროექტების თანადაფინანსება და სამსახურის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება, რომლბიც ხელს შეუწყობს შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციას. პროგრამის მიზანია: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა. შშმ ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლება, მათი ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა.				
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ხელშეწყობა.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	2020 წელს ჩატარდა 5 ღონისძიება. მათ შორის 4 ახალგაზრდული და 1 შშმ პირთა	2021წ დაგეგმილია არანაკლებ 15ღონისძიების ჩატარება	10% - დამოკიდებულია მომართვიანებაზე

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	3 000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე ისეთი პროექტების თანადაფინანსება და სამსახურის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება, რომლბიც ხელს შეუწყობს შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციას. ქვეპროგრამის მიზანია: შშმ ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, მათი ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა და მოტივაციის ამაღლება.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება შშმ ახალგაზრდების ცნობიერება და მათი ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკი
	1	2 თანადაფინანსებული პროექტი	განხორციელებული 3 ღონისძიება და 4 პროექტი	10%	პანდემია

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ახალგაზდული პროექტების თადაფინანსება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	9 000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიებისაღ წერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდება მუნიციპალური ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება. განხორციელდება და დაფინანსდება სხვადასხვა მიმართულების ახალგაზრდული პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრული საქმიანობის განვითარებას, ახალგაზრდების გააქტიურებას და მათი ჩართულობის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გაიზრდება ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა. პროგრამის მიზანია: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში მოტივაციისა ამაღლება და ინტელექტუალური ,შემოქმედებითი, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	2020წ ჩატარდა 4 ღონისძიება	2021წ არსებული პროგრამაის ფარგლებში განხოლციელდება ინტელექტუალური, შემოქმედებითი,ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა. ახალგაზრდული ორგანიზაციების გააქტიურება და მათი ხელშეწყობა.წლის განმავლობაში დაფინანსდება 15-მდე ღონისძიება და პროექტი.	5%	პანდემია

პროგრამის დასახელება	კოდი	**განათლების ხელშეწყობა**			დაფინანსება ათას ლარში
	04 03				28 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; საგანმანთლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისებას ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.				
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანამანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების რაოდენობის ზრდა	გაზრდილია განათლების სფეროში დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი	1%

	2	განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმატებების წახალისების რაოდენობა და მათი მოტივაცია	განათლების სფეროში ჩართული ადამიანების წარმატებების წახალისების რაოდენობის და მათი მოტივაციის ზრდა	გაზრდილია წახალისებული ადამიანების რაოდენობა და მათი მოტივაცია	1%

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	6 000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის/ღონისძიებისაღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე სხვადასხვა საგანმანათლებლო, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსება.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	2021 წელს თანადაფინანსებით განხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი - ერთი	დასაფინანსებელი პროექტების მაჩვენებლის ზრდა	1%	მომართვიანობის რაოდენობა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისება	დაფინანსება ათას ლარებში	
			შემდეგი 1 წელი	20 000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის/ღონისძიებისაღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა წახალისება ფულადი ჯილდოთი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისება ფულადი ჯილდოთი; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით. აღნიშნული პროგრამის მიზანია მოსწავლე- ახალგაზრდების წახალისება, მათი მოტივაციისა გაზრდა, წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება.			
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება განათლების სფეროში მოღვაწე 150-მდე წარმატებული ადამიანების წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.			

	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	წახალისებული ადამიანების რაოდენობა - 100 მდე	გაზრდილია წახალისებული ადამიანების რაოდენობა	1%	მომართვიანობის რაოდენობა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ტრანსპორტირებით დახმარება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	2 000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნება მათი საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობა. პროგრამის მიზანია, საგანმანთლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	პროგრამის ფარგლებში 2021 წელს შესაძლებელი იქნება მოქალაქეებისთვის ტრანსპორტირებით დახმარების გაწევა სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ბენეფიციართა რაოდენობა - 200	გაზრდილია საგანმანათლებლო ღონისძიებებში მოქალაქეების რაოდენობა	5%	მომართვიანობის რაოდენობა

დანართი N2

პროგრამის დასახელება	კოდი	**კულტურის ღონისძიებები**			დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 02				24 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.				
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.				
	]	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	1	კულტურის სფეროს განვითარება და მოქალაქეების ჩართულობა	კულტურის სფეროში ჩართული და მისით დაინტერესებული მოქალაქეების რაოდენობა	გაზრდილია კულტურის სფეროს მიმართ დაინტერესება და მოქალაქეების ჩართულობა კულტურულ სფეროში	5%

შედეგის შეფასების ინდიკატორი	2	კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების და ამ სფეროში წარმატებების წახალისების რაოდენობა	კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების და ამ სფეროში წარმატებების წახალისების რაოდენობის ზრდა	გაზრდილია წახალისებული ადამიანების რაოდენობა	5%
	3	კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიცაზია	კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესების ზრდა	გაზრდილია კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესება	5%

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	10 000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიებისაღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა, ადგილობრივი,რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება;				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მიმდინარე წელს სადღესასწაულო დღეების აღნიშვნა, რაც გათვლილია მოსახლეობისა და სტუმრების დიდ რაოდენობაზე.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა და მოსახლეობის ჩართულობა	გაზრდილია ღონისძიებების რაოდენობა და მოსახელობის ჩართულობა	1%	პანდემია

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	კულტურული პროექტების თანადაფინანსება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	1000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა თვალისწინებს ხელოვნების ახალი მიმართულებების, შემოქმედთა ახალი იდეების მხარდაჭერას; ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, შემოქმედებითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას; ქვეპროგრამის ფარგლებში ფიზიკური და იურდიული პირების მომართვის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მოვახდინოთ კულტურული პროექტების თანადაფინანსება.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	2021 წელს დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ხასიათის პროექტი, რაც გაზრდის მოსახლეობის დაინტერესებას კულტურის სფეროსადმი.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი	დასაფინანსებელი პროექტების მაჩვენებლის ზრდა	1%	მომართვიანობის რაოდენობა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	კულტურის და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	8 000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	კულტურის სფეროში მოღვაწე მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისება ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად წახალისდება წარმატებული შემოქმედი ადამიანები, გაიზრდება მათი მოტივაცია.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	წახალისებული ადამიანების რაოდენობა	ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა	5%	მომართვიანობის რაოდენობა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ტრანსპორტირებით დახმარება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	3 000

ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
ქვეპროგრამის/ღონისძიებისაღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირების მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნება კულტურულ ღონისძიებებში მონაწილე პირების, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. პროგრამის მიზანია, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობის ზრდა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად 2021 წელს შესაძლებელი იქნება კულტურის სფეროში მოღვაწე პირების და დაინტერესებული ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობის გაზრდა, მათი ცნობიერების ამაღლება, გამოცდილების გაზიარება და პროფესიული განვითარება.

შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	ბენეფიციართა რაოდენობა	ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა	1%	მომართვიანობის რაოდენობა

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტრული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	2 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მატერიალური და არამატერიალური, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოძიების, აღწერისა და პასპორტიზაციის ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის, მონიტორინგისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა; ექსპოზიცია-გამოფენების, შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობა. პროგრამის მიზანია, საზოგადოებაში, ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის, მისი მოვლა-პატრონობის წესის დამკვიდრება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესების გაზრდა და და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.				
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვივდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია.				
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიცაზია	კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესების ზრდაა	1%	

	პროგრამის დასახელება	კოდი	**სპორტული ღონისძიებები**	დაფინანსება ათას ლარებში
		05 01 02		33 500
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრმის ფარგლებში ხორციელდება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ,სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებით დახმარება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე - ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზება პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ყველა ასაკობრივი ჯგუფების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება,მათი მოტივაციის ამაღლება.		
	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტში,16 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, მასტერლიგა 2021,ღრმაღელეობა ,ჩიბათობა,ლელო და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები. მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი და მოწყვლადი ჯგუფების მასობრივი სპორტის სახეობებში ჩართულობა და დაინტერესება გაზრდილია.		

		N	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)
	შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	2020 წელს ჩატარდა 10-მდე სხვადასხვა სპორტული ღონისძიება	2021 წელს ჩატარდება არანაკლებ 35 სპორტული ღონისძიება და აქტივობა	10%
		2	დაჯილდოებული და წახალისებული სპორტსმენები	2020 წელს დაჯილდოვდა და წახალისდა სპორტულ აქტივობებში მონაწილე-გამარჯვებული 70-მდე პირი.	2021 წელს წინასწარი ვარაუდით დასაჯილდოებელი სპორტსმენების და მწვრთნელების რაოდენობა გაიზრდება 500-მდე.	10%

	ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	საჩუქრების და პრიზების შეძენა		დაფინანსება ათას ლარებში	
					შემდეგი 1 წელი	6000
	ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
	ქვეპროგრამის/ღონისძიებისა ღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია: სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე, ტურნირებზე ახალგაზდებისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, მონაწილეთა წახალისება თასებით,მედლებით ,სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით მასობრივი სპორტის სახეობების პოპულარიზაცია.				
	მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებში სპორტისადმი ინტერესის ამაღლება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება პოპულარიზაცია და მათში მოტივაციის ამაღლება.				
	შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
		1	" სასკოლო სპორტული ოლიმპიადა" "ევროპის სპორტის კვირეული." "ახალგაზრდული სპორტული ტურნირების ოგანიზება" სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა სპორტული აქტივოვები (ჩიბათობა, ღრმაღელეობა),ღონისძიებებში გამარჯვებულების დაჯილდოვება.	" სასკოლო სპორტული ოლიმპიადა" "ევროპის სპორტის კვირეული." "სპორტი ბარიერების გარეშე" ."ახალგაზრდული სპორტული ტურნირების ოგანიზება" სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა სპორტული აქტივოვები (ჩიბათობა, ღრმაღელეობა ,ლელო,) ღონისძიებებში გამარჯვებულების დაჯილდოვება.	5%	პანდემია

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	წარმატებული,ახალგაზრდა,ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება		დაფინანსება ათას ლარებში	
				შემდეგი 1 წელი	10 000
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის/ღონისძიებისაღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია, წარმატებული ახალგაზდებისა და მწვრთნელების, ასევე ღვაწლმოსილი,წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენების წახალისება ფულადი ჯილდოთი და ფასიანი საჩუქრებით, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდა სპორტსმენებში მოტივაციის გაზრდასა და მწვრთნელების მიერ გაწეული შრომის დაფასებას.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში მოტივაცია ამაღლდება, მოხდება მათი დაოსტატების ხელშეწყობა, მწვრთნელებისა და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების მიერ გაწეული ღვაწლის დაფასდება.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	50-მდე მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს სხვადასხვა სპორტულ ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენების მწვრთნელის,ფულადი დაჯილდოება	მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს სხვადასხვა სპორტულ ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენების მწვრთნელის,ვეტერანების ფულადი დაჯილდოება,წახალისება.	10%	მომართვიანობის რაოდენობა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზება		დაფინანსება ათას ლარებში შემდეგი 1 წელი 9,500.0	
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.				
ქვეპროგრამის/ღონისძიებისა ღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის,ყველა ასაკობრივი ჯგუფების მასიური ჩაბმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში: სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.სპორტის სხვადსხვა სახეობებში მონაწილე და გამარჯვებული სპორტსმენებისა და მოქალაქეების მოტივაციის მიზნით წახალისება ფულადი ჯილდოთი,ფასიანი საჩუქრებითა და პრიზებით.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	მოხდება მუნიპალიტეტში მცხოვრების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, ახალგაზრდების სპორტის მასიური სახეობებით დაინტერესება, ამაღლდება მათი მოტივაცია და პოპულარიზაცია გაეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესს.				
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	1	16 ადმინისტრაციულ ერთეულში განხოლციელდა სპორტული ტურნირების ორგანიზება" სხვადასხვა სპორტული აქტივოვების ხელშეწყობა , ,,ღრმაღელეობა მასტერლიგა 2020,ევროპის სპორტის კვირეული. ჩართულიიყო 300 ადამიანი	16 ადმინისტრაციულ ერთეულში განხოლციელდა სპორტული ტურნირების ორგანიზება" სხვადასხვა სპორტული აქტივოვების ხელშეწყობა , ,,ღრმაღელეობა,ლელო,ჩიბათ ობა,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ,სპორტი ბარიერების გარეშე მასტერლიგა 2021,ევროპის სპორტის კვირეული. ჩართული იქნება 1000 ადამიანი	10%	პანდემია

ქვეპროგრამის/ღონის ძიების დასახელება	კოდი	სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე		დაფინანსება ათას ლარებში		
				შემდეგი 1 წელი	4000	
ქვეპროგრამის/ღონის ძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.					
ქვეპროგრამის/ღონის ძიებისაღწერა და მიზანი	ღონისძიებების ფარგლებში მოხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადსხვა ასაკობრივი ჯგუფების, მაქსიმალური ჩართვა სხვადასხვა სახის სპორტულ და ახალგაზრდულ აქტივობებში, რეგიონალურ, ზონალურ და რესპუბლიკურ ჩემპიონატებში.					
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ახალგაზრდებში სპორტული მოტივაციისა ამაღლება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.					
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ყველა საჯარო და საბაზო სკოლებს შორის, სპორტის 8 სახეობაში ჩატარდა " სასკოლო სპორტული ოლიმპიადა" და "სპორტი ბარიერების გარეშე".	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ყველა საჯარო და საბაზო სკოლებს შორის სპორტის 8 სახეობაში ჩატარებულია " სასკოლო სპორტული ოლიმპიადა" და "სპორტი ბარიერების გარეშე".	5%	პანდემია	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	ტრანსპორტირებით მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
			შემდეგი 1 წელი
			4,000.0

ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია: სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებებზე, ლანჩხუთელი სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირება.
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები და სპორტსმენები შეძლებენ სხვადასხვა სახის სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას.

	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
შუალედური/საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	200 მდე ახალგაზრდის და მოსწავლის ტრანსპორტირება	სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა	5.0%	პანდემია